ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №95/1912

CPV 55500000

2019წ.

ქ. თბილისი

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთის მხრივ, სსიპ თავდაცვის ინსტიტუციური აღმშენებლობის სკოლა (შემდგომში - შემსყიდველი ორგანიზაცია), წარმოდგენილი დირექტორის თეა ნიკოლაშვილის სახით და მეორეს მხრივ, ინდივიდუალური მეწარმე „ქეთევან ბრაგვაძე“ (შემდგომში - „მიმწოდებელი“) წარმოდგენილი მანან ბრაგვაძის სახით, ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

I. ხელშეკრულების საგანი

1.1 შესყიდვის ობიექტს წარმოადგენს **სსიპ თავდაცვის ინსტიტუციური აღმშენებლობის სკოლის მიერ ორნიზიებული ღონისძიებების ფარგლებში საზოგადოებრივი კვების საწარმოების გასაწევი მომსახურება**, ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შესაბამისად.

1.2 ხელშეკრულების საგანია მომსახურების (შემდგომში - შესყიდვის ობიექტი) შესყიდვა, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10^1 მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად (გადაუდებელი აუცილობლობა).

II. შესყიდვის ობიექტის ღირებულება

2.1. შესყიდვის ობიექტის ღირებულება შეადგენს 3054.08 (სამი ათას ორმოცდათოთხმეტი ლარი და08) ლარს, მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა ხარჯისა (ხელშეკრულების მე-3 მუხლით განსაზღვრული პირობების თანახმად) და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების ჩათვლით.

2.2. ერთჯერადი მომსახურების ღირებულება განისაზღვრება ურთიერთ შეთანხმების შედეგად განსაზღვრული მენიუსა და მომსახურების მიხედვით.

III. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პირობები, ვადები და ადგილი

3.1. 2019 წლის 10-13 სექტემბერს, თითოეულ დღეს, არაუმეტეს 30 (ოცდაათი) პერსონაზე, მიმწოდებელი უზრუნველყოფს კვებითი მომსახურების გაწევას შემსყიდველი ორგანიზაციის შენობაში, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ჭონქაძეს 20.

3.2. მომსახურების გაწევისას გათვალისწინებული ინდა იქნეს შემდეგი პირობები:

*მომსახურებისა და პროდუქტის მაღალი ხარისხი;

*მომსახურების მოწოდება ასევე მოიცავს შესაბამისი რაოდენობის დამხმარე პროდუქტებს, (მაგალითად: შაქარი, მარილი, ლიმონი, რძე, და სხვა);

*საკვების მიწოდებისა და საკვების მოხმარების შემდეგ, უნდა დალაგდეს მიწოდების ადგილი და გატანილი უნდა იქნეს ნარჩენები;

*მაგიდის სერვირება უნდა მოხდეს ე.წ. „ქეითერინგზე“ მიღებული სტანდარტების შესაბამისად;

*საკვების მიწოდებასთან ერთად მიმწოდებელი ვალდებულია, შემყიდველი ორგანიზაცია უზრუნველყოს ყველა საჭირო ინვენტარით (მაგ. ჭურჭელი, მაგიდა, ხელსახოცი, გადასაფარებელი, ჩანგალი, კოვზი, ფინჯანი და ა.შ.);

*ინვენტარი უნდა იყოს ერთნაირი, ერთი ფერის (თეთრი ან მიახლოვებული), დაუზიანებელი და საუკეთესო სანიტარულ მდომარეობაში.

*მიმწოდებელი მომსახურების გაწევის დღეს, შემსყიდველს დამატებით უსასყიდლოდ მიაწვდის მენიუში განსაზღვრული თითოეული კერძის ნიმუშს, რომელიც იქნება ჰერმეტულად დაცული და დალუქული. რომელზეც მითითებული იქნება მომსახურების გაწევის თარიღი და კერძის დასახელება,რომლის შენახვის ვადაც განისაზღვრება მოწოდებიდან 3-4 სამუშაო დღის განმავლობაში.

*მოწოდებული შესყიდვის ობიექტის სრულფასოვან ჰერმეტულად დაცვაზე და დალუქვაზე სრულად პასუხისმგებელია მიმწოდებელი.

*მომსახურების გაწევა უნდა განხორციელდეს მიმწოდებლის რესურსებით (მომსახურე პერსონალი, ტრანსპორტირება, შესაბამის სართულზე ატანა/ჩამოტანა, ნარჩენების გატანა და ა.შ.);

*მომსახურე პერსონალი უნდა იყოს შესაბამისი უნიფორმით და ვიზუალურად მოწესრიგებული, სამუშაო

მდგომარეობისათვის შესაბამისი, მათ ასევე დროულად უნდა მოახდინონ ნარჩენებისა და გამოყენებული ჭურჭლის ალაგება, რაიმე სახის დაზიანების აღმოფხვრა, მაგიდის გადაწმენდა და განახლება.
*საკვები და ჭურჭელი მოწოდებული უნდა იქნეს კონტეინერებით ან ამ სფეროში მიღებული სხვა სახის ჭურჭლით;
*პროდუქტი უნდა იყოს ახალი მომზადებული, ლამაზად პრეზენტირებული, შესაბამისი საკვებ-საგემოვნო თვისებებით და ტემპერატურით, ჯამრთელობისათის უვნებელი, ასევე უნდა შეესაბამებოდეს ჰიგიენისა და ვარგისიანობის სტანდარტებს;
*თითოეული „ცხელი კერძის“ მოწოდებასთან ერთად განსაზღვრული უნდა იქნეს შესაბამისი „მარმიტი“, რათა საჭირო პერიოდისათვის მოხდეს შესაბამის ტემპერატურის შენარჩუნება/შეცხელება.
*ტრანსპორტირება უნდა განხორციელდეს ღონისძიების ადგილამდე ჰიგიენური და ტემპერატურული ნორმების დაცვით. დაუშვებელია კერძების ტრანსპორტირება ისეთი საბარგულების მეშვეობით, სადაც განთავსებული იქნება სხვადასხვა ხელსაწყოები, საცხებ/საპოხი საშუალებები, საწვავი და ნებისმიერი სხვა რამ, რაც მიუღებელია საკვებთან ერთად ტრანსპორტირებისათვის.
*შემსყიდველთან წინასწარი შეთანხმების გარეშე დაუშვებელია ტაქსის ტიპის ავტონამქანით საკვების მოწოდება.

IV. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

4.1. შესყიდვის ობიექტი ჩაითვლება მიღებულად შესყიდვის ობიექტის ფაქტობრივი მიწოდებისა ან შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

V. ანგარიშსწორების ფორმა, ვადა და ადგილი

5.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ეროვნულ ვალუტაში, „საქართველოს 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ასიგნებების ფარგლებში.
5.2. მიმწოდებელს შესყიდვის ობიექტი აუნაზღაურდება უნაღდო ანგარიშსწორებით, მომსახურების გაწევის შემდეგ საგადასახადო დოკუმენტის წარმოდგენის და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

VI. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1. შემსყიდველი ორგანიზაცია და მიმწოდებელი მოქმედებენ საქართველოს კანონმდებლობის სრული დაცვით.
6.2. შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია:
- ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, აუნაზღაუროს მიმწოდებელს შესყიდვის ობიექტის ღირებულება.
6.3. შემსყიდველ ორგანიზაციას უფლება აქვს:
- განახორციელოს კონტროლი მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე;
- მოსთხოვოს მიმწოდებელს მიწოდებული შესყიდვის ობიექტის კონტროლის შედეგად გამოვლენილი დეფექტების აღმოფხვრა შემსყიდველი ორგანიზაციის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯის გაწევის გარეშე.
6.4. მიმწოდებელი ვალდებულია:
- მიაწოდოს შემსყიდველ ორგანიზაციას შესყიდვის ობიექტი ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;
- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.
6.5. მიმწოდებელს უფლება აქვს:
- მოსთხოვოს შემსყიდველ ორგანიზაციას შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

VII. ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლი

7.1. ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე კონტროლს განახორციელებს შემსყიდველი ორგანიზაციის უფლებამოსილი თანამშრომელი, ლოგისტიკისა და შესყიდვების მენეჯერი მიხეილ თოფურია.

VIII. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისას

8.1. მხარეები პასუხს აგებენ ერთმანეთის წინაშე მათ მიერ ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არა ჯეროვნად შესრულებისათვის მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

8.2. თუ ხელშეკრულების ერთი მხარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში არ ასრულებს ან არა ჯეროვნად ასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას, მეორე მხარე უფლებამოსილია წერილობითი ფორმით მას დაუწესოს დამატებით ვადა ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულებისთვის.

8.3. ხელშეკრულების ერთი მხარის მიერ დამატებით ვადაში ვალდებულების კვლავ შეუსრულებლობის ან არა ჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, მეორე მხარეს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება.

8.4. ხელშეკრულების მხარეს, მის მიერ შესყიდვის ობიექტთან დაკავშირებული ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულების 0.02 (ნოლი მთელი ორი მეასედი) პროცენტის ოდენობით.

8.5. თუ ერთი მხარისთვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულების 5 (ხუთი) პროცენტს, მეორე მხარეს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება.

IX. ფორს-მაჟორული სიტუაციები

9.1. მხარეები პასუხისმგებელნი არ არიან თავიანთ ვალდებულებათა სრულად ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ის გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა: წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე საომარი მოქმედებები, რომლებიც უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, ხელისშემშლელ გარემოებათა აღმოფხვრის შემდეგ.

9.2. თუ ფორს-მაჟორული გარემოებების გამო სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობა გრძელდება ორ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის მოთხოვნის უფლების გარეშე. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორის გარემოება, დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

X. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა

10.1. ხელშეკრულებების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ამ შემთხვევაშიც ფასის ცვლილება დასაშვებია არაუმეტეს შესყიდვის ობიექტის ღირებულების10%-ისა.

10.2. ხელშეკრულებაში ცვლილებების და დამატებების შეტანა შესაძლებელია მხარეთა თანხმობის შემთხვევაში. ნებისმიერი ცვლილება და დამატება ხელშეკრულებაში შეიძლება შეტანილ იქნეს მხოლოდ წერილობითი ფორმით. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერ ცვლილებაზე უნდა გაფორმდეს შეთანხმება, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

XI. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

11.1. ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ მასზე ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2019 წლის 30 ოქტომბრის ჩათვლით.

XII. დავა და მისი გადაწყვეტის წესი

12.1. წამოჭრილი დავა ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყდეს ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

12.2. თუ შემსყიდველი ორგანიზაცია და მიმწოდებელი მოლაპარაკებების დაწყებიდან 15 (თხუთმეტი) დღის განმავლობაში ვერ შეძლებენ შეთანხმების საფუძველზე გადაწყვიტონ დავა, მაშინ ნებისმიერ მხარეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

XIII. სხვა პირობები

13.1. საკითხები, რომელიც არ არის გათვალისწინებული ამ ხელშეკრულებით, რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

13.2. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

13.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

13.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა.

XIV. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები, მხარეების წარმომადგენელთა ხელმოწერები, ბეჭედი

სსიპ თავდაცვის ინსტიტუციური აღმშენებლობის სკოლა
მის: ქ. თბილისი, ჭონქაძეს ქ. №20
საიდენტიფიკაციო კოდი: ს/კ 205329697
Dibs@mod.gov.ge

ინდივიდუალური მეწარმე (ი/მ)
ქეთევან ბრაგვაძე
მისამართი: გურჯაანი, რუსთაველი 11
ს/კ 13001010722
სს ლიბერთი ბანკი-LBRTGE22
ა/ა GE55LB0112114035025000

თეა ნიკოლაშვილი
დირექტორი

ქეთევან ბრაგვაძე

LEPL DEFENCE INSTITUTION BUILDING SCHOOL

Digitally signed by LEPL DEFENCE INSTITUTION BUILDING SCHOOL
Date: 2019.09.10 15:14:25 +04'00'

თარიღი	10.09.19წ.
რაოდენობა	30

№	დასახელება	რაოდენობა	ფასი	თანხა
1	ყავა	25	1.32	33
2	ჩაი შავი	15	0.93	13.95
3	ჩაი მწვანე	5	0.93	4.65
4	ნამცხვრის ასორტი	10	5.58	55.8
5	ორცხობილის ასორტი	10	1.39	13.9
				121.3
1	მინი ფენოვანი ყველით	25	1.58	39.5
2	მინი ფენოვანი ლობიანი	25	1.39	34.75
3	მწვადი ქათმის	25	3.25	81.25
4	კარტოფილი ფრი	25	1.39	34.75
5	სალათი შუბა (სამარხვო)	25	1.02	25.5
6	ყველის ასორტი	10	4.65	46.5
7	პურის ასორტი	10	1.39	13.9
8	ნატურალური წვენი	25	1.22	30.5
				306.65
1	ყავა	25	1.32	33
2	ჩაი	15	0.93	13.95
3	ორცხობილის ასორტი	10	1.39	13.9
				60.85
1	ტრანსპორტირება/ინვენტარი	1	68	68
2	მომსახურე პერსონალი	1	55	55
			თანხა	123
	სულ			611.8
	ჯამი დ.ღ.გ.-ს ჩათვლით			721.92

თარიღი	11.09.19წ.
რაოდენობა	30

№	დასახელება	რაოდენობა	ფასი	თანხა
1	ყავა	25	1.32	33
2	ჩაი შავი	15	0.93	13.95
3	ჩაი მწვანე	5	0.93	4.65
4	ნამცხვრის ასორტი	10	5.58	55.8
5	ორცხობილის ასორტი	10	1.39	13.9
				121.3
1	მინი ფენოვანი რულეტი ლორით	25	2.13	53.25
2	მინი ფენოვანი ტარხუნით	25	1.58	39.5
3	მწვადი ბოსტნეულის	25	1.86	46.5
4	ღორის სტეიკი სოუსით	25	3.9	97.5
5	ბოსტნეულის სალათი	25	1.86	46.5
6	ყველის ასორტი	10	4.65	46.5
7	პურის ასორტი	10	1.39	13.9
8	ნატურალური წვენი	25	1.22	30.5
				374.15
1	ყავა	25	1.32	33
2	ჩაი	15	0.93	13.95
3	ორცხობილის ასორტი	10	1.39	13.9
				60.85
1	ტრანსპორტირება/ინვენტარი	1	68	68
2	მომსახურე პერსონალი	1	55	55
			თანხა	123
	სულ			679.3
	ჯამი დ.ღ.გ-ს ჩათვლით			801.57

თარიღი	12.09.19წ.
რაოდენობა	30

№	დასახელება	რაოდენობა	ფასი	თანხა
1	ყავა	25	1.32	33
2	ჩაი შავი	15	0.93	13.95
3	ჩაი მწვანე	5	0.93	4.65
4	ნამცხვრის ასორტი	10	5.58	55.8
5	ორცხობილის ასორტი	10	1.39	13.9
				121.3
1	სენდვიჩი ყველით და ლორით/ძეხვით	25	2.13	53.25
2	მჭადის ტარტარეტკა ბადრიჯნით	25	1.76	44
3	ქათმის კატლეტი	25	2.97	74.25
4	სოკო ჩაშუშული (სამარხო)	25	2.32	58
5	ჭარხალი ტყემალში	25	0.9	22.5
6	ყველის ასორტი	10	4.65	46.5
7	პურის ასორტი	10	1.39	13.9
8	ნატურალური წვენი	25	1.22	30.5
				342.9
1	ყავა	25	1.32	33
2	ჩაი	15	0.93	13.95
3	ორცხობილის ასორტი	10	1.39	13.9
				60.85
1	ტრანსპორტირება/ინვენტარი	1	68	68
2	მომსახურე პერსონალი	1	55	55
			თანხა	123
	სულ			648.05
	ჯამი დ.ღ.გ.-ს ჩათვლით			764.70

თარიღი	13.09.19წ.
რაოდენობა	30

№	დასახელება	რაოდენობა	ფასი	თანხა
1	ყავა	25	1.32	33
2	ჩაი შავი	15	0.93	13.95
3	ჩაი მწვანე	5	0.93	4.65
4	ნამცხვრის ასორტი	10	5.58	55.8
5	ორცხობილის ასორტი	10	1.39	13.9
				121.3
1	მინი ფენოვანი ყველით	25	1.58	39.5
2	ფენოვანი სოკოს რულეტი	25	1.58	39.5
3	ქაბაბი	25	3.72	93
4	სპაგეტი ყველით/სოუსით	25	2.04	51
5	ვინეგრეტი	25	1.2	30
6	ყველის ასორტი	10	4.65	46.5
7	პურის ასორტი	10	1.39	13.9
8	ნატურალური წვენი	25	1.22	30.5
				343.9
1	ყავა	25	1.32	33
2	ჩაი	15	0.93	13.95
3	ორცხობილის ასორტი	10	1.39	13.9
				60.85
1	ტრანსპორტირება/ინვენტარი	1	68	68
2	მომსახურე პერსონალი	1	55	55
			თანხა	123
	სულ			649.05
	ჯამი დ.ღ.გ.-ს ჩათვლით			765.88